საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030178804142318

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/17831 **27 / მარტი / 2018 წ.**

ავსტრიის პოლიციის ატაშეს ოფისის
მეკავშირე ოფიცერს კარლჰაინც გორტანოს

ბატონო გორტანო,

თქვენი 2018 წლის N0277/2018 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საქართველოში მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის წარდგენის საკითხს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც 7 წლის ასაკისთვის არ მიუღწევია (მუხლი 1276). ხოლო მხარდაჭერის მიმღებს უწესდება მხარდაჭერა (1275-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ამასთან, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვნის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები.

წერილის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირი მხარდამჭერის მიმღებია, ანუ წარმოადგენს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს და აქვს ფსიქიატრიული დიაგნოზი, შესაბამისად, ექნება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და სოციალური პაკეტით განსაზღვრული თანხის მიღების უფლებაც. ასევე, ასეთი პირებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული სერვისები და მათი სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ საჭიროებების შესაბამისად (მაგ. შშმ პირთა დღის ცენტრები, სათემო ორგანიზაციები და სხვა). გარდა ამისა, სსიპ ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" შშმ პირთა პანსიონატები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის (გონებრივი ჩამორჩენილობის, აგრეთვე სხვა ფსიქიკური აშლილობების გამო განვითარებული მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის) მქონე სრულწლოვანი პირების სადღეღამისო 24 საათიან მომსახურებას.

წერილის მე-5 პუნქტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრულ ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის პროგრამა. ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოში) მიმართვა შეუძლია ნებისმიერ ოჯახს, რომელიც მიიჩნევს, რომ თავისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიხედვით იმყოფება სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში, საჭიროებს დახმარებას და შეიძლება გახდეს ამ დახმარების მიმღები. საარსებო შემწეობა გაიცემა გრადაციული სისტემით და დამოკიდებულია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგად მინიჭებულ სარეიტინგო ქულაზე. 100001 სარეიტინგო ქულის მქონე ბავშვიანი (16 წლამდე) ოჯახები დამატებით უზრუნველყოფილნი არიან ბავშვის ბენეფიტით.

წერილის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სოციალურ თემატიკაზე, მიზნობრივი ჯგუფებისთვის ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს და სერვისებს (მათ შორის ოჯახის მხარდამჭერი სერვისი, შინ მოვლის სერვისი და სხვა.).

მე-7 პუნქტთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოს მოქალაქეებისგან განურჩევლად სარგებლობენ ქვეყანაში არსებული სოციალური დაცვის გარანტიებით.

რაც შეეხება მეურვისა და მხარდაჭერის საქმიანობის ფინანსურ ანაზღაურებას, ან მათთვის რაიმე სახის შეღავათების დაწესების საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მოსარგებლეებად განსაზღვრული არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები; ასევე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები. გარდა ამისა, ამავე პროგრამის ,,ინფექციური დაავადებების მართვის'' კომპონენტი ასევე, ვრცელდება საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირებზე.

წერილის მე-8 პუნქტთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ ,,ინფექციური დაავადებების მართვის“ კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება ციროზის, კერძოდ, ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ციროზით (სპეც–მედიკამენტების გარეშე) და ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ციროზით, ასციტით და/ან ენცეფალოპათიით, და/ ან ჰეპატო-რენული სინდრომით (სპეც–მედიკამენტების გარეშე) სტაციონარული მკურნალობა.

პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურება ანაზღაურდება თანაგადახდის პრინციპით. თანაგადახდის წილი შეადგენს ფაქტობრივი ხარჯის 20%-ს (80% იფარება პროგრამის ხარჯებით). თუმცა, გარკვეული კატეგორიისთვის თანაგადახდის წილი განსხვავებულია (მაგ. პროგრამის ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება თანაგადახდას არ ექვემდებარება იმ პირებისთვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მათთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს; 2008 წლის 6 აგვისტოდან, საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, რომლებიც განსახლებულ იქნენ სახელმწიფოს ან სხვა იურიდიული პირების მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ადგილებში; ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში, ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში მცხოვრები ბენეფიციარები; ასაკით პენსიონერი ვეტერანის და მკვეთრად გამოხატული შშმ ვეტერანისთვის და სხვა ხოლო, საპენსიო ასაკის პირებისთვის პროგრამით იფარება მომსახურების ფაქტობრივი ხარჯის 90%, მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 10%-ს).

ამასთან, C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, რომლის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე და, ასევე, ნეიტრალური მოწმობის და/ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები.

რაც შეეხება საყლაპავი მილის ვარიკოზული კვანძების მკურნალობას, გაცნობებთ, რომ საქართველოში შესაძლებელია აღნიშნული ნოზოლოგიის მკურნალობა, ამასთან „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების კომპონენტი ითვალისწინებს - სისხლდენით გართულებული საყლაპავის ვარიკოზის სტაციონარულ მკურნალობას.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია